




# ხაშურის მთაშუა



№4 (185)

28 იანვარი, ორშაბათი,

2019 წელი

შიდა ქართლის გუბერნატორი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებს შეხვდა



23 იანვარს, გორში, ადმინისტრაციულ სახლში, შიდა ქართლის რწმუნებული გიორგი ხოჯევანიშვილი ხაშურის მერიის, საკრებულოს და მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი სიმონ ნოზაძე. შეხვედრა ორმხრივი დიალოგის ფორმატში წარიმართა. შეხვედრის დასაწყისში მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშივლიმა მოკლედ ისაუბრა იმ პროექტებზე, რომელიც 2019 წელს მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინფრასტრუქტურული და სოციალური მიმართულების პროექტებზე. გუბერნატორმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს დიალოგი და იმედი გამოთქვა, რომ მათი ჩართულობით ზემოაღნიშნული პროექტების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ამის შემდეგ, ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს 2018 წლის შედეგებზე და 2019 წელს დასახულ პრიორიტეტებზე. ითქვა სირთულეებზეც, რომელთა აღმოფხვრაშიც და დაძლევაშიც გუბერნატორმა მათ მხარდაჭერა აღუთქვა. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სურამის საკურორტო პოტენციალის გაზრდას და ამ ამოცანის მხარდაჭერაში მუნიციპალიტეტის მერიისა და შიდა ქართლის ადმინისტრაციის როლს.

შეხვედრის ბოლოს აღინიშნა, რომ ასეთი შეხვედრები ორივე მხარისთვის სასარგებლოა და იგი მომავალში პერიოდულად უნდა გაგრძელდეს.

მუნიციპალიტეტის 13 სოფელში, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა უკვე გრძელდება

18 იანვარს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს გიორგი გურასპაშივლი და “ელკანას” პროექტების მენეჯერ გიორგი თვალთაშვილსა და ბიზნესის განვითარების სპეციალისტ-მობილიზატორ ნინო მძინარაშვილს შორის საინფორმაციო შეხვედრა შედგა. როგორც ცნობილია, BP, უკვე რამდენიმე წელია ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია “ელკანას” საშუალებით, ახორციელებს პროექტს “ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის დასავლეთის მიმართულების საექსპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსის) მარშრუტის აღმოსავლეთ მონაკვეთზე”. პროექტის ფარგლებში, რამდენიმე წლის განმავლობაში, სამიზნე სოფლებში,



არაერთი ოჯახი დაფინანსდა მცირე გრანტებით. წელსაც “ადგილობრივი განვითარების ინიციატივა – „მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 3” დაიწყო. ჩვენს მუნიციპალიტეტში 13 ასეთი სოფელია. შეხვედრას ესწრებოდნენ სამიზნე სოფლებში მერის წარმომადგენლებიც. შეხვედრაზე სამომავლო თანამშრომლობაზე და ურთიერთხელშეწყობაზე ისაუბრეს.

## იმსჯელეს რეგიონებში დეცენტრალიზაციის საკითხებზე

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (NALAG), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შეხვედრა შიდა ქართლის რეგიონში გამართა. შეხვედრაზე რეგიონებში დეცენტრალიზაციის საშუალოვადიანი სტრატეგიის (2019-2025) პროექტის მეორე ეტაპი განიხილეს. შეხვედრის მთავარ მიზანს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის დეცენტრალიზაციის საკითხებზე დიალოგის წარმართვა და დეცენტრალიზაციის ახალ სტრატეგიაში ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესების გათვალისწინება წარმოადგენდა.

სტრატეგია გულისხმობს 2025 წლამდე დეცენტრალიზაციის პროცესების ჩამოყალიბებას და მოიცავს თვითმმართველობისთვის როგორც ახალი უფლებამოსილებების, ისე მეტი ფინანსების გადაცემასა და მოქალაქეთა თანამონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პროექტის განხილვაში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის პროექტის განხილვას რეგიონებში საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის, შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობების მხარდაჭერით, ასევე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით ახორციელებს.



- წითელა -

# აიცვრით და იყავით დაცულნი

H1 N1 ვირუსის ე.წ ღორის გრიპის შემდეგ საქართველოს „წითელა“ ემუქრება. შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა საგანგაშო არ არის, თუმცა, სიფრთხილის ზომები აუცილებლად მისაღებია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, კომპეტენტური ინფორმაციის მისაღებად კვლავ ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს დავით ჩიქოვანს გავესაუბრეთ.

- ბატონო დავით, თავადაპირველად, გვითხარით რა ვირუსთან გვაქვს საქმე?

- წითელა მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც მიმდინარეობს ცხელებით,



გამონაყართ, ხველებით, რინიტით ან კონიუქტივით. წითელა, ძირითადად, ბავშვთა ინფექციური დაავადებაა, თუმცა ბოლო წლებში, წითელას ეპიდემიოლოგიამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც გამოიხატა შემთხვევითა შორის უფროსი ასაკის ბავშვებისა და მოზრ-

დილების წილის ზრდაში.

- რამდენად საშიში ვირუსია და რა გზებით გადაეცემა?

- ვირუსი გადაეცემა სუნთქვის, ხველების და ცემინების დროს, წითელას ახასიათებს მაღალი გადამდებლობა - თითქმის 100%, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც იმყოფება დაავადებულთან და არ აქვს იმუნიტეტი, დიდი ალბათობით, დაავადდება. ინფიცირებულები გადამდებად ითვლებიან გამონაყარის დაწყებამდე 4 დღის და გამონაყარის დაწყებიდან 4 დღის განმავლობაში.

- რა მდგომარეობაა ამჟამად საქართველოში?

- საქართველოში 600-მდე შემთხვევაა ამ დროისათვის დაფიქსირებული. ჩვენს რაიონში 7 სავარაუდო შემთხვევა გვაქვს და გადაგზავნილია ლაბორატორიაში შესამოწმებლად. პასუხებს ველოდებით

- დაავადებულთა საშუალო ასაკი როგორია?

- 0-1 და 1-40 წ-მდე. ეს გამოწვეულია იმით, რომ თავის დროზე წითელაზე არ აიცრა პიროვნება, შესაბამისად, ვირუსი მის იმუნიტეტს ადვილად მოერიო. 0-დან 1წ-მდე ის ბავშვები არიან დაინფიცირებულები, რომელთა მშობლები არ იყვნენ აცრილები. გამომდინარე იქიდან, რომ თუ მშობელი აცრილია ბავშვს იმუნიტეტი მიჰყვება 1 წლამდე და ის დაცულია, შემდგომ უკვე საჭიროა აცრა. ბავშვებში აცრები ხდება 1 და 5 წლის ასაკში, რომელიც სრულად აყალიბებს იმუნიტეტს.

- ვირუსთან საბრძოლველად ერთადერი ეფექტური საშუალება აცრებია?

- რა თქმა უნდა, საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გამოცხადებულია სრული იმუნიზაცია, გასულ დღეებში ჩამოტანილ იქნა ვაქცინის საკმარისი რაოდენობა ხაშურის რაიონის მცხოვრებლებისათვის. აგრეთვე გეტყვით, რომ თუ ღირს აცრა პიროვნებას ჩატარებული აქვს, აღარ არის საჭირო განმეორებითი, თუ არ ახსოვს, მესამე აცრაც არ იქნება დანაშაული, იმუნიტეტი უფრო განმტკიცდება. მოეუწოდებ თითოეულ მოქალაქეს აცრებისკენ. აიცრან და იყვნენ დაცულნი. დავამატებ, რომ ყველა სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია აცრას თითოეული მოქალაქე უფასოდ.

# წარმატებული რკინიგზელი, საკუთარ პროფესიაზე შეყვარებული კაცი

დღევანდელ ნომერში, ერთი საინტერესო და, ამავდროულად, უცნაური პროფესიის მქონე პიროვნებას გაგაცნობთ. ჩვენმა დღევანდელმა რესპოდენტმა, დეფექტოსკოპისტმა დიმიტრი ჩინჩალაძემ, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს რკინიგზას მიუძღვნა. რკინიგზაში სხვადასხვა პოზიციაზე უმუშავია, თუმცა, დღესდღეობით, ხაშურის სალოკომოტივო დეპოში, სწორედ ამ პროფესიის ქვეშ აგრძელებს საქმიანობას, პროფესიის, რომლის შესახებაც ინტერვიუში ვრცლად გვესაუბრა. ზოგჯერ, დაფიქრდები და აანალიზებ, რომ სწორედ მისნაირი ადამიანები არიან, რომლებსაც უდიდესი წვლილი მიუძღვით ისეთი მძლავრი კომპანიის წარმატებებში, რასაც საქართველოს რკინიგზა ჰქვია. ისინი, ერთი მთლიანი სისტემის იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დეტალებს წარმოადგენენ, რომელთა მწყობრიდან გამოსვლა, ფაქტობრივად, სისტემის მოშლას ნიშნავს.

- ბატონო დიმიტრი, რას გულისხმობს თქვენი პროფესია?

- დეფექტოსკოპია გულისხმობს ბზარებისა და გარკვეული უწყისობების შემოწმებას ლოკომოტივზე. ეს, შედარებით ახალი დარგია, სპეციალობა, რომელზეც დიდი ხანი არ არის, რაც ვმუშაობ, დაახლოებით, ექვსი თვეა.

- სად შეისწავლეთ აღნიშნული სპეციალობა?

- ქალაქ პეტერბურგიდან იყვნენ ჩამოსულები ამ დანადგარის შემქმნელები, რომლებმაც ერთთვიანი ტრენინგები ჩავვიტარეს თბილისის მახარისხებულ სალოკომოტივო დეპოში. სპეციალობას სრულყოფილად დავეუფლეთ, რომელსაც უდიდესი ყურადღებით ვეპყრობით.

- რამდენი ხანია რაც საქართველოს რკინიგზაში მუშაობთ? როგორც ვიცით, სხვადასხვა პოზიციებზეც გიმუშავიათ..

- საქართველოს რკინიგზაში 35 წლიანი მუშაობის სტაჟი მაქვს. სალოკომოტივო დეპოში კი 30 წელია, რაც ვმუშაობ. კომუნისტური რეჟიმის დროს, ვმუშაობდი იმდროინდელ სამშენებლო სამმართველოში ლიანდაგების მშენებლობაზე, აგრეთვე, მხარხავი გახლდით - ვჩარხავდით ელმავლის ბორბლებს. როგორც წესი იყო, მოვიხადე სამხედრო ვალი ქვეყნის წინაშე, ვსწავლობდი სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე, დაუსწრებელზე რუსეთში, რადგან პარალელურად ვმუშაობდი, 1988 წელს ჩამოვედი საქართველოში და ამ წლიდან დღემდე ვმუშაობ რკინიგზაში.

- როგორია თქვენი ყოველდღიურობა სამსახურში?

- ვმუშაობ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა. ფიზიკურად არ ვიტვირთები, საქმე იმდენად რთული არაა, როგორც საპასუხისმგებლო. ას თვალს და ას ყურს საჭიროებს. მეც, ჩემი მხრივ, ცვდილობ ყურადღება არ მოვაღწუნო. დილით მივიღივარ სამსახურში, პირველ რიგში, მუშა მდგომარეობაში მოვიყვან აპარატს. აუცილებლად, გამართულად უნდა მუშაობდეს, შემდეგ ვამოწმებთ ლოკომოტივს.

- ბატონო დიმიტრი, როგორც ვიცით, სალოკომოტივო დეპოს წარმატებული თანამშრომელი ხართ? დამსახურებაც ხომ არ გაქვთ?

- 2013 წელს ვიყავი დასახელებული საუკეთესო თანამშრომლად, ჩემს პროფესიაში და მივიღე ჯილდო და სიგელი მამუკა ბახტაძისგან რომელიც იმ დროს საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი იყო.

- მოგვიყვით თქვენს ოჯახზე..

- მყავს დედა, მეუღლე და ორი შვილი. ჩემი მეუღლე დიასახლისია, შვილები ნათელა და ანზორი კი სხვადასხვა პროფესიას დაეუფლნენ და რკინიგზასთან შეხება არ აქვთ.

- ამდენწლიანი სამუშაო სტაჟით და გამოცდილებით, რას ნიშნავს თქვენთვის ეს პროფესია და რა რჩევას მისცემდით შედარებით ახალბედა თანამშრომლებს?



სიმართლე გითხრათ, ჩვენს საუკუნეში როდესაც დასაქმებული ხარ და სტაბილური სამსახური გაქვს, ძალიან ბევრს ნიშნავს. პირველ რიგში, გეტყვით, რომ ჩემი პროფესია ძალიან მიყვარს და ზუსტად ამ რჩევას მივცემდი ახალგაზრდებს: უყვარდეთ ის საქმე რასაც აკეთებენ და სიამოვნება მიიღონ მისგან. 35 წელია პირნათლად ვასრულებ ჩემს დაკისრებულ მოვალეობას. სანამ მარჯვენაში ძალა შემწვევს, ასეც გაგრძელებდა.

„ხაშურის მოამბე“-ს რედაქციის სანაცნობო-სამეგობრო წრე წლების განმავლობაში იზრდებოდა და ფართოვდებოდა, ეს ადამიანები კი ახალ და საინტერესო რესპოდენტებთან გვაკავშირებდნენ, ეს უწყვეტი, გარდაუვალი პროცესი დღემდე გრძელდება. ჩვენც, ჩვენის მხრივ, ცდას არ ვაკლებთ, ჩვენ მკითხველს ახალი, საზოგადოებისთვის უცნობი, წარმატებული, შრომისმოყვარე და საკუთარ პროფესიაში დაწინაურებული ხაშურელები გავაცნოთ.

თ. ახალკაცი

- ავტომობილების ტექნიკსპექტირება -  
**ხაშურეც მძღოლებს  
 ტექდათვადიერების გასაზღვრად  
 სხვა ქადაქში წასვდა აღარ  
 დასქირდებათ**

2018წლის 1 იანვრიდან სავალდებულო გახდა ავტომანქანების ტექნიკური ინსპექტირება, რაც ეტაპობრივად მოხდება მათი კატეგორიების შესაბამისად. ტექდათვადიერების გავლის შესაძლებლობა ავტომობილებს ხაშურში, ავტომობილების ინსპექტირების ცენტრშიც აქვთ. შპს "მტკვარი 77" შესაბამისი ტექნიკური ბაზით, ახორციელებს ყველა კატეგორიის მანქანების ტექნიკურ დათვადიერებას. რომელი კატეგორიის



ავტომანქანებისთვის როდიდან დაიწყება ტექდათვადიერების გავლის ვალდებულება, როგორი იქნება მისი საფასური და პროცედურები, რა სანქციები მოყვება ამ ვალდებულებების შეუსრულებლობას, გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს შპს "მტკვარი 77"-ის პირველადი ტექნიკური ინსპექტირების სამსახურის დირექტორ ლევან აბესაძესთან:

- შპს "მტკვარი 77" 2017 წელს შეიქმნა, აკრედიტაცია 2018 წლის ივნისში გავიარეთ, ჩვენი საქმიანობის სფეროა საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური ტესტირება. შპს "მტკვარი 77"-ს აქვს შესაბამისი, ძვირადღირებული ტექნიკური ბაზა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაკვეთით დავიწყეთ აღნიშნული საქმიანობის განხორციელება. დაახლოებით ექვსთვიანი მოსამზადებელი სამუშაოები იყო, შემდეგ გავიარეთ აკრედიტაცია აკრედიტაციის ცენტრში, რომელსაც მონიტორინგს უწევს ეკონომიკის სამინისტროში არსებული ტრანსპორტის სააგენტო, რომელიც აწესებს მთელ რიგ აუცილებელ მოთხოვნებს.

- თავდაპირველად რა კატეგორიის ავტომობილებს ემსახურებოდით?

- პირველი ივლისიდან ხდებოდა სატვირთო და სამგზავრო ტრანსპორტის შემოწმება, რომელსაც წელიწადში ორჯერ უნდა ტექნიკური ინსპექტირება, რომელიც მანამდეც არსებობდა. პირველი იანვრიდან უკვე მსუბუქი ავტომობილების ინსპექტირება დაიწყო. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ცენტრი ემსახურება ბორჯომის და საჩხერის რაიონებსაც. თუმცა არც ერთი მძღოლი არაა შეზღუდული, რომელ ქადაქშიც უნდა, იქ შეუძლია ჩაუტაროს ავტომობილს ტექდათვადიერება.

- რამდენად გამართულია ცენტრი ტექნიკურად და რამდენად

კვალიფიციური თანამშრომლები არიან?

- ჩვენ გვაქვს ბოშის ტიპის დანადგარები. აკრედიტაციას ვერ გაივლი, თუ ვერ დააკმაყოფილებ შესაბამის მოთხოვნებს. გვყავს სამი თანამშრომელი, რომლებმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაიარეს შესაბამისი სწავლება, ჩააბარეს გამოცდები აკრედიტაციის ცენტრის სპეციალისტებთან.

- როგორ უნდა გაიგოს ავტომანქანის მესაკუთრემ კონკრეტულად მისი ავტომანქანის ტექნიკსპექტირების დრო?

- რაც შეეხება ინსპექტირების კონკრეტულ თარიღს, ანუ რომელი კატეგორიის მანქანები რა ვადაში გაივლიან ინსპექტირებას, შესაბამისი გრაფიკი გაწერილი იქნება ავტომანქანების რეგისტრაციის თარიღის (თვისა და რიცხვის) მიხედვით. უფრო კონკრეტულად, ავტომანქანის მფლობელმა უნდა ნახოს სარეგისტრაციო მოწმობაში მანქანის გამოშვებისა და რეგისტრაციის თარიღი. რეგისტრაციის თარიღი (თვე) არის მისი ავტომანქანისთვის ტექნიკური ინსპექტირების გავლის ბოლო ვადა. მაგალითად, თუ ავტომობილის რეგისტრაციის თარიღია 2009 წლის აგვისტო, მისთვის ტექნიკური ინსპექტირების ბოლო ვადა ტექდათვადიერების დაწყებიდან აგვისტომდე იქნება.

- რა პერიოდულობით უნდა მოხდეს ავტომანქანის ტექნიკსპექტირება?

- საქართველოში იმოქმედებს საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული წესი. კერძოდ, 4 წლამდე ავტომანქანებისთვის ინსპექტირება არ იქნება საჭირო, 4-დან 8 წლამდე ავტომანქანებისა - ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო 8 წლის ზემოთ ასაკის ავტომანქანებისთვის - ყოველწლიურად.

- რა ღირს ავტომანქანების ტექნიკსპექტირება?

მსუბუქი ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება 60 ლარი, ხოლო სატვირთო და სამგზავრო ავტომობილების - 100 ლარი ეღირება. თანხის გადახდა მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით მოხდება.

- რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ავტომანქანის ტექნიკური მდგომარეობა?

- პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების გავლისას ავტომობილმა 7 ძირითადი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს. კერძოდ, ეს მოთხოვნებია - მუხრუჭები, საჭის მართვის სისტემა, ხიდგადობა, ფარები, დერძულა, შასი და მისი შემადგენლები და გამონაბოლქვი. რაც შეეხება მანქანის გამონაბოლქვს, ნებისმიერი ავტომობილისთვის, მისი მიუხედავად, აქვს თუ არა მას კატალიზატორი, იმოქმედებს გამონაბოლქვის მაქსიმალური დასაშვები ნორმა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს გამართული წვის სისტემის მქონე ავტომობილმა.



- რა შედეგი მოჰყვება ინსპექტირებისას ავტომანქანის ტექნიკურ გაუმართაობას?

- თავდაპირველად, ყველა ავტომობილს, რომლის სატრანსპორტო საშუალებასაც აღმოაჩნდება ისეთი ხარვეზი, რაც ეწინააღმდეგება დადგენილ მოთხოვნებს, მიეცემა გონივრული ვადა (არაუმეტეს 1 თვე) პრობლემის მოსაგვარებლად. ამასთან, გამკაცრდება ინსპექტირების მოწმობის არქონის შემთხვევაში არსებული საჯარიმო სანქციები. უფრო კონკრეტულად, ფიზიკური პირისთვის ჯარიმა 10 ლარის ნაცვლად იქნება 50 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისთვის - 100 ლარის ნაცვლად - 200 ლარი. 50-ლარიანი ჯარიმა დაეკისრება იმ მძღოლსაც, რომელიც მართავს სხვის ავტომობილს.


- ცდომილებები თუ არსებობს ინსპექტირების დროს?

- ცდომილებები მინიმუმამდეა დაყვანილი, ამ ეტაპზე მოთხოვნები არც ისე მკაცრია, რომ ვადაში მოხდება მოთხოვნების გამკაცრება. დღეისათვის ასეთი სურათი გვაქვს, დაახლოებით 100 მანქანიდან 35-40 მანქანა გადის უპრობლემოდ, დანარჩენს ეძლევა დამატებითი ვადა გამოსასწორებლად.

- დღის განმავლობაში რამდენ ავტომანქანას ემსახურებით?

- აქტიურობა იანვრის თვიდან დაიწყო. დღის განმავლობაში დაახლოებით 35-40 მანქანას ვემსახურებით, ჩვენი ხაზი უნივერსალურია, ყველა კატეგორიის მანქანებს ვემსახურებით, მისაბმელიანის გარდა. ეს ისეთი პროცესია, რომელიც უმტკივნეულოდ მოგვარდება გარკვეულ პერიოდში და კითხვები და უკმაყოფილობები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

თ. ჯავახიშვილი



იცი თუ არა, რომ შენ მეზობლებთან ერთად შეგიძლია: განიხილოთ თქვენი სოფლის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტისთვის წარსადგენად მოამზადოთ შესაბამისი წინადადებები;

განიხილოთ სოფელში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და შესაბამისად, მუნიციპალიტეტს წარუდგინოთ დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები;

განიხილოთ მიმდინარე და უკვე განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოთ შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები;

ორგანიზება გაუწიოთ სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში სოფლის ჩართვას და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოთ მუნიციპალიტეტის ორგანოებს;

მიიღოთ გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პეტიციის წარდგენის შესახებ;

განიხილოთ დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოთ შესაბამისი წინადადებები, რადგან უთქვენოდ ამ საკითხს ვეღარ გადაწყვეტენ;

განიხილოთ სოფელში არსებული ქონების გაყიდვის საკითხი და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოს წარუდგინოთ საკუთარი შენიშვნები - უთქვენოდ ქონებას ვერ გაყიდიან;

დავალებები მისცეთ თქვენს მიერ არჩეულ საერთო კრების რჩეულს;

განახორციელოთ ასევე სხვა საკითხებიც, რაც სოფელს აწუხებს.

იცი თუ არა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან:

განიხილონ შენი და შენი თანასოფლელების ერთობლივი გადაწყვეტილება და განხილვის შედეგების შესახებ დასაბუთებული პასუხი განსაზღვრულ ვადებში გაცნობონ;

მუნიციპალიტეტის მერი ვალდებული გახდება უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით შენთან და შენს თანასოფლელებთან შეხვედრა და ანგარიშის ჩაბარება წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ.

იცი თუ არა, რომ მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან სანამ გადაწყვეტილებას მიიღებენ მოგაწოდონ განსახილველად:

შენს სოფელში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე;

სოფლის საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები. მაგრამ!

ეს ყველაფერი მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოახერხებთ საკუთარი ინიციატივით სოფლის საერთო კრების ორგანიზებას და შენ და შენი ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი მიხვალთ სოფლის საერთო კრებაზე.

თუ არ მოიწვევთ კრებას, ან მეზობლები მოიწვევენ და არ მიხვალთ, მაშინ რაც ზემოთ წაიკითხე, ყველაფერი დაივიწყე, რადგან სოფლის საერთო კრება მხოლოდ მაშინაა უფლებამოსილი და ძალის მქონე, როცა მას სოფლის მოსახლეობის სულ მცირე 20% ესწრება. ხელისუფლებასაც მხოლოდ ამ შემთხვევაში ექმნება სრული ვალდებულება მოგისმინოს, პასუხი გაგცეს და შეასრულოს, რაც სოფელს უნდა!

გახადე ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებული აქტიურად მოგემსახუროს.

სოფლის ძალა, სოფლის ერთობაშია!

### თუ შენ საკუთარი სოფლის განვითარება გსურს, ეს აუსილებლად უნდა წაიკითხო!

#### საერთო კრების რჩეული

საერთო კრება უფლებამოსილია თავისი საქმიანობის წარმართვის და მისი ხელშეწყობის მიზნით, საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს საერთო კრების რჩეული. საერთო კრების რჩეულის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს სოფლის კრების წევრთა არანაკლებ 5%-ს.

საერთო კრების რჩეული უძღვება საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილების მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოებისთვის წარდგენას, აგრეთვე ასრულებს საერთო კრების ცალკეულ დავალებებს.

საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება მომდევნო საერთო კრების შეკრებამდე ვადით. საერთო კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად გრძელდება, თუ

მომდევნო საერთო კრება ახალ რჩეულს არ აირჩევს. კრების რჩეულის უფლებამოსილება ავტომატურად შეიძლება გაგრძელდეს ზედიზედ არაუმეტეს 5-ჯერ.

მოქალაქეთა მონაწილეობის კანონით განსაზღვრული სხვა ფორმებია:

პეტიცია, რომლის სახით საკრებულოს შეიძლება კრებამ წარუდგინოს:

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;

მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

სოფლის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

პეტიციის წარდგენის უფლება, შენი სოფლის საერთო კრებას აქვს. თუ სოფელში ვერ შეიკრიბა საერთო კრება, მაშინ პეტიციის წარსადგენად მუნიციპალიტეტის ყველა ამომრჩევლის 1% ხელწერების მოგროვება იქნება საჭირო!

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო: რომელიც მუნიციპალიტეტის გამგებლის სათათბირო ორგანოა. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მეწარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. მერი არ არის ვალდებული სრულად გაითვალისწინოს საბჭოს რჩევები ან საერთოდ, ყავდეს მრჩეველთა საბჭო.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა: საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომები საჯაროა. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, დაესწროს სხდომებს.

ჩვენ დაგეხმარებით. მოგვმართეთ: საქართველოს სასოფლო დარბაზი, ლანჩხუთი, ჟორდანიას 107. ტ. 599 56 48 77 ან 599 917 925. ელ. ფოსტა: info@darbazi.org.ge

სტატიის მომზადება შესაძლებელი გახდა ევროპის ფონდის მხარდაჭერით და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით მიმდინარე „საქართველოს სასოფლო დარბაზის“ პროექტის „სასოფლო დასახლებების თვითორგანიზება ადგილობრივი განვითარებისთვის“ ფარგლებში. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს სასოფლო დარბაზი“. მასში გადმოცემული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და/ან ევროპის ფონდის შეხედულებებს.

D ამირან გიგინეიშვილი, „საქართველოს სასოფლო დარბაზის“ აღმასრულებელი დირექტორი

### შ ე ხ ვ ე დ რ ა პ ო ე ტ ე ბ თ ა ნ

ხაშურის საბიბლიოთეკო გაეთიანება მუდამ ანებივრებს თავის მკითხველს საინტერესო ლიტერატურული სადამოებით თუ ავტორებთან შეხვედრით. ამჯერად, მათ პოეტებს თამაზ ჩადუნელს, ბელა ალანიას, თემურ ცერცვაძეს და მაია ხოფერიას უმასპინძლეს. სადამოზე, სურამის პირველი და ხაშურის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მათი შემოქმედებიდან რჩეული ლექსები წაიკითხეს. პოეტებმა კი ახალი ლექსები გააცნეს დამსწრე საზოგადოებას. მათვე მოსწავლეებს და ბიბლიოთეკას წიგნები გადასცეს საჩუქრად.



- ახალი წიგნები -

# მნიშვნელოვანი ნაშრომის პრეზენტაცია



ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მურად მთვარელიძის წიგნის „დიმიტრი ყიფიანი-ლიტერატორი“ წარდგენა გაიმართა. ნაშრომში გაანალიზებულია დიმიტრი ყიფიანის სალიტერატურო მოღვაწეობა, მისი ორიგინალური შემოქმედება და თარგმანები. წიგნის რედაქტორმა, სამუხეუმო გაერთიანების დირექტორმა თამაზ ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ დიდი მამულიშვილის შემოქმედების კვლევა უწყვეტი ციკლია და სასიამოვნოა, რომ ხაშურში ბევრი რამ კეთდება ამ კუთხით. წიგნის ავტორმა, მურად მთვარელიძემ, ისაუბრა დიმიტრი ყიფიანზე, როგორც მაღალი დონის ლიტერატორზე, პუბლიცისტსა და მოღვაწეზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მიხეილ ჯანაშიელმა, მადლობა გადაუხადა ბატონ მურადს დიდი მამულიშვილის შემოქმედების კვლევაში გაწეული წვლილისათვის და, მუნიციპალიტეტის სახელით, თანადგომა გამოუცხადა მომავალ საქმიანობაში. სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მამუკა წიქარიშვილი, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი კლარა გელაშვილი და სხვები.

წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა მუზეუმის სახსრებით და საჩუქრად გადაეცა დამსწრე საზოგადოებას.

XIX საუკუნე გამოჩენულ ეპოქად დარჩა საქართველოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის სტატუსი მიიღო, შვა ერთიმეორეზე გამოჩენილი, მრავალწახნაგოვანი მოღვაწეობით სახელდებული, დამწერები თუ განმავითარებელი სიახლისა, ზოგადევროპული კულტურისა, პატრიოტიზმით ბეჭედდასმული საოცარი მოღვაწენი, რომელთა შორისაა წამებული, აკაკის თქმით „ურჩი რაინდი“, დიმიტრი ყიფიანი.

დიმიტრი ყიფიანის შესახებ, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, უამრავი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ, როგორც თ. ჯოლოგუა აღნიშნავს, „ქართული ლიტერატურის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები დიმიტრი ყიფიანის ნაწერებში, ძირითადად, ფაქტების კონსტანტაცია – აღნუსხვა ამა თუ იმ მწერლისა და ლიტერატურული ძეგლის ზოგად შეფასებას არ გასცილებია“. ამიტომ და, ალბათ, იმ მიზნითაც, რომ კიდევ უფრო კომპაქტურად, ლიტერატურათმცოდნის შემფასებლური თვალთ წარმოსახენად, პოეტმა, მკვლევარმა, ფილოლოგიის მეცნიერებთანა დოქტორმა, პედაგოგმა და არაერთი თაობის აღმზრდელმა მურად მთვარელიძემ ითავა შესანიშნავი წიგნის მომზადება, რომელმაც სულ ახლახან დაიმკვიდრა თავისი ადგილი წიგნის თაროზე.

დიმიტრი ყიფიანი – ლიტერატორი არაა მხოლოდ ერთი მიმართულებით (მაგ. პუბლიცისტის, კრიტიკოსის კვლევა) იგი გაშლა-გახსნა იმ დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ფართო ცნების „ლიტერატორისა“, რომელიც

დიმიტრი ყიფიანის, როგორც მწერლის, მთარგმნელის შეფასებისას და ბოლოს, გამოკვეთს იმ მნიშვნელოვან კუთხესაც, რაც წარმოაჩენს ამ დიდი მოღვაწის ევროპულ აზროვნებას. წიგნს ერთვის სხვადასხვა შრომებიდან გამოკრებილი ბრძნული გამონათქვამები და პირთა საბიუბიკო. ამ თვალსაზრისითაც იგი მეცნიერულად გამართული ნაშრომია, რომლის ნაწილებიც წაკითხულ-აპრობირებულ იქნა ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.

ამ ნაშრომის განხილვისას ნაკლებად იგრძნობა ავტორის პოეტური განცდისმიერი დამოკიდებულება დიმიტრი ყიფიანის ღვაწლისადმი, აქ მსჯელობს მეცნიერი მკვლევართა ნააზრევის წარმოდგენა-შეფასებითა და თავის მიერ მიკვლეული ახალი მასალების შევსებით.

## წიგნი „გულთასრულ კაცზე“, დიმიტრი ყიფიანზე

რითაა გამოჩენილი წინამდებარე წიგნი? იქნებ იმითაც, რომ ესაა ობიექტური შეფასებისაკენ სწრაფვა, ასევე წამებული მამულიშვილის ღვაწლის სრულად, გააზრებულად წარმოჩენის მცდელობა, რაც ასე რთული უნდა ყოფილიყო დ. ყიფიანის ეპოქაში, როდესაც წოდებრივად შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანი ხმათა დიდი უპირატესობით აირჩიეს თავად-აზნაურობის მარშლად, რამაც შესაძლოა, მოგვიანებით განავრცობინაო (როგორც თავად მ. მთვარელიძე შენიშნავს) გრივად ორბელიანს პოემა „სადღევრძელო“ სიტყვებით: „მეცი ნიჭსა გუა ფართო, თავჯანისცემა ღირსებას“. ვფიქრობთ, ეს სამართლიანი მიგნებაა ავტორისა, რამეთუ თვით გრივად ორბელიანი ეწინააღმდეგებოდა დ. ყიფიანის მარშლად არჩევას...

როგორ გამოიკვეთა წინამდებარე ნაშრომში დიმიტრი ყიფიანის ღვაწლი? ამაზე სხვადასხვა მეცნიერი, მკვლევარი იტყვის თავის სიტყვას. ჩვენ კი შევნიშნავდით, რომ უნდა გახსნილიყო ის ფაქტი, რატომ დაიტირა მთელმა ქართულმა საზოგადოებამ ასე ერთსულოვნად გადასახლებაში ტრაგიკულად აღსრულებული მოღვაწე და სამუდამო განსახვეწებელი დაუმკვიდრა მთაწმინდაზე, რატომ აღმოთქვა აკაკიმ საყოველთაოდ განთქმული ფრაზეოლოგიურად ქცეული „ღვდაშვილობამ, მეტს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო!“ მაშინ, როდესაც რუსეთში დარჩენის დასახლების საპირისპიროდ, გრივად ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში დ. ყიფიანმა აღნიშნა: „ქალაქში ხმა დაუგლიათ, ყიფიანი პეტერბურგში რჩებაო, ამა და ამ ადგილს აძლევენ და ცოლ-შვილსაც იბარებსო. სხვამ იქნებ არა, მაგრამ თქვენ, მგონია ადვილად დამიჯერებთ, რომ ჩემი სამშობლო ქვეყნის მიწა-წყალი, ჩვეულება, ხნობა, ზრდილობა, ათასნაირი სხვადასხვა თვისება, რომელსაც კაცი ვერსადა ჰპოვებს, თუ არ შინა, ყოველივე ეს ისე ძვირფასად რადმე მიმჩნია, რომ ვისაც კი ცოტადღენი გრძნობა შერჩენია, კაცმა თავისის ნებით არასოდეს არ უნდა განუტევოს, თუ ძალით არ განაცდევინეს. ღვთის გულისათვის, რას დამახარებენ აქ ისეთსა, რომ ამათში გამაცვლევიონ. საქართველოს მოშორება ღმერთმა მაშოროს... ისევე გუთანს მოვუდგები, ნაბადს მოვისხამ და ჩემს ქვეყანას კი ვგრე ადვილად ვერ მოვსცილდები“ (გვ. 86). აღნიშნული ცოტატი იმისათვის მოვიხმეთ წინამდებარე რეცენზიაში, რომ სადღეისოდ, როცა ქართველობის ნაწილი ასე მიისწრაფვის უცხოეთში დამკვიდრებისაკენ, თითქოს მშობლიური მიწის ერთი ნაგლეჯიც არ აღელვებს, არ ადარდებს. დიახაც, XIX საუკუნეში, ბევრს თუ არა დიდი ნაწილს ჰქონდა შესაძლებლობა უცხოეთში წასვლისა სამუდამო საცხოვრებლად, მაგრამ ის ძარღვი სამშობლოსთან რომ აკავშირებდათ, არ გასწყვეტიათ. ამაზე მიგვანიშნებს დიმიტრი ყიფიანის სიტყვები, რომლის მოყვანაც წინამდებარე ნაშრომში, მართლაც რომ ორგანულია, ძირითადი, და დ. ყიფიანის პიროვნების წარმოსახენად - აუცილებელიც.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვანჩნა დ. ყიფიანის ღვაწლის წარმოჩენა მთარგმნელობითი საქმიანობის შეფასების კუთხითაც. ენის სიწმინდის დაცვა, აზრის სწორად გადმოცემა, ღრმად ჩახედვა ორიგინალში თუ მის სხვა ენაზე თარგმანებში, აი, ძირითადი პრინციპი დ. ყიფიანისა, რომელმაც ილიასა და მანაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „მეფე ლირი“ დიდებულად მიიჩნია, მაგრამ, როდესაც მეფე ლირის როლი შესთავაზეს, მისი თავისებური, მისეული ჩასწორებაც ითხოვა...

დიახაც, მრავალმხრივად, მრავალწახნაგოვნადაა წარმოდგენილი დიმიტრი ყიფიანი ნაშრომში, თითოეულ წახნაგს მ. მთვარელიძე საოცარი რუდუნებით წარმოადგენს, მიზანდასახულად და მომავალ მკვლევართათვის სანიმუშოდ. ამაშია ნაშრომის „დიმიტრი ყიფიანი – ლიტერატორი“ დიდი ღირსებაც და დანიშნულებაც.

თამარ გოგოლაძე,  
გსუ ჰუმ. მეცნ. ფაკულტეტის  
პროფესორი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი



მოიცავდა ლიტერატურასთან ღვაწლით დაკავშირებული ადამიანის საქმიანობას და ყველაზე უკეთ გამოხატავდა დიმიტრი ყიფიანის მრავალმხრივ როლს ქართული კულტურის ისტორიაში.

ამით აიხსნება მკვლევარის მიერ წარმოდგენილი მასალის განლაგებაც, რაც სრულყოფილად წარმოაჩენს დიმიტრი ყიფიანის საქმიანობას ძველი ქართული მწერლობის, სამწერლობო ენის, მის თანამედროვე ქართველ მწერალთა (ნ. ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ვრ. ორბელიანის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, გ. ერისთავის, ვას. ორბელიანის, გ. დადიანის, ი. ჭავჭავაძის) შესახებ პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილებითა თუ საქმიანი ღვაწლით გამოხმაურებას.

მ. მთვარელიძე შესანიშნავად, სრულყოფილად შლის საკითხს

# მიცვალებულთა სულების გამცილებელი

ჩვენს ქალაქში მას ყველა იცნობს-ნახევარი ძალიან ახლოს, მეორე ნახევარი კი - უფრო ახლოს. ერთმა ნახევარმაც და მეორემაც მხოლოდ სახელი იციან მისი. გვარი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც არავის სმენია და რომ ვფიქრობ, მეონი, არცაა საჭირო. სახელშია ჩატეული მთელი მისი ბიოგრაფია და, რაღაცნაირად, ეს სახელი ჰყვება, თითქოს, თავის თავზე. დამკვიდრებული კანონზომიერებაა, რომ მხოლოდ სახელით ცნობა გენიოსთა ხვედრია. არ ყოფილა მთლად ასე. ეს კანონზომიერებაც ირღვევა, ცხადია, შემცირებული მასშტაბით, მაგრამ ხომ ირღვევა?! გამორჩეული? როცა ამ ეპითეტს წარმოვთქვამთ, აუცილებლად დიდი ტიტანის, გენიოსის, ან საოცარი ბიოგრაფიის ადამიანი



გვიდგას თვალწინ და ეს ზედსართავი სახელიც რაღაც ზეადმატებულ კონტექსტს გულისხმობს, მაგრამ ყოველთვის-არა და აქაც დამკვიდრებული კლიშეს ნგრევასთან გვაქვს საქმე. ფაქტი ერთია: ის არავის არ ჰგავს, არც მას გავს ვინმე. მის სახასიათო პორტრეტის უმთავრესი შტრიხი უკიდურესი

სიაღაფე და თუ გნებავთ, უკიდურესი უპრეტენზიულობაა. არასოდეს ითხოვს მოწყალებას-არაა ეს მისი საქმე და თუ იღებს-იღებს იმიტომ, რომ დაიმსახურა, იღებს იმდენს, რამდენიც ჭირდება და არა - მეტს. უფალი, ნებისმიერ ადამიანს მიწიერ დავალებებს აძლევს. ზოგს უდიდესი მისია აკისრია, ზოგს-ძალიან მცირე და მოკრძალებული. მასაც აქვს "ზეციური დავალება"-მიცვალებულთა სულების გამცილებელია. როგორც წესი, ჩვენს ქალაქში ყველა სამგლოვიარო პროცესიის მონაწილეა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ სამგლოვიარო სუფრასთან მხოლოდ საკვებისთვის მიდის, ძალიან ცდება. რამდენჯერ პირადად მინახავს, იმ დარბაზთან მდგარი, სადაც სუფრაა გაშლილი. მდგარა განმარტოებით, მოშორებით და მხოლოდ ჭირისუფალთა ხეწვის შემდეგ შეერთებია ქელეხს. და იცით რატომ? რაღაც მიზეზის გამო, დროულად ვერ შეუერთდა პროცესიას და მიცვალებული უკანასკნელ გზაზე ვერ გააცილა. სწორედ ამ დროს თვლის, რომ სუფრასთან ჯდომა ვერ დაიმსახურა და ეს დარდი კლავს. თუმცა, ეს იშვიათად ხდება. უმრავლეს შემთხვევაში, პროცესიის უცვლელი წევრია, სამ მუჭა მიწასაც მოფანტავს საძვალეზე და მერე უკვე არავითარი მუდარა აღარ ჭირდება-დამსახურებულად ზის სუფრასთან. არა, არ სვამს, მხოლოდ ერთი ჭიქით იტყვის შესანდობარს, იტყვის ალაღად, გულით, დარდით, სევდით... გზას დაულოცავს მიცვალებულის სულს და იმ დღის "ზეციური დავალება" მთავრდება. თუ ჭირისუფლები საკვებს სახლშიც გაატანენ, მოკრძალებულ მადლობას იტყვის, თუ არა და, არც ესაა მისთვის ტრაგედია. ერთგვარ რიტუალად ექცა ეს "ტრადიცია" ჩვენს ქალაქში. ბევრჯერ შევსწრებივარ, ჭირისუფლებს, ამდენ ფორიაქში, ქელეხის შემდეგ, დავიწყებით მისთვის "სამადლობელი სიტყვა" და ბოლოს, შეწუხებულებს, სახლში გაუგზავნიან მათი მიცვალებულის სულის გამცილებლისთვის სხვადასხვა "მოსაკითხი". ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით ორშაბათობით და პარასკევობით, როდესაც სარიტუალო დარბაზებში სიწყნარეა, მატარებელს მიეკედლა. ავა დილით ცნობილ "მასტერაოში" და ორ გზას აკეთებს ხაშურიდან ზესტაფონამდე და პირიქით. ზის მარტო კუთხეში წყნარად და შორს, სივრცეებს ათვალიერებს. თუ გამოელაპარაკა ვინმე, პასუხს ვასცემს, თუ არა და, არც ესაა მისთვის უკომფორტობა. მეორე დღეს კი ქალაქის რომელიმე კუთხეში სამგლოვიარო პროცესიას უერთდება. წლებია ეს გრძელდება. ასეულობით სული გააცილა უკანასკნელ გზაზე და დარწმუნებული ვარ, ყველაზე ალაღად იდარდა.

P.S. შეგნებულად არ ვახსენებ სახელი. არ მეგულება ჩვენს ქალაქში ვინმე ზრდასრული, რომელიც ვერ მიმხვდარიყო ვიხუა საუბარი. და თუ რომელიმე მკითხველისთვის იგი უცნობია, მაშინ იგი ჩვენი ქალაქის მკვიდრი არც ყოფილა და თუ დაინტერესდება, ყველა აუხსნის, ეტყვიან, რომ ესაა კაცი, რომელიც, რაღაცნაირად, უხდება ქალაქს. **ბობი ბობოლაძე**

# ვერცხლის ჩვიდმეტი წლის ოსტატი

ლუკა მეგრელიშვილი 17 წლისაა და უკვე ორი წელია თავისი საქმე აქვს, სწავლობს და საკუთარი სახელოსნოც მოიწყო - ვერცხლის ნაკეთობებს ამზადებს, რეალიზებას უკეთებს და საკუთარი შემოსავალიც აქვს. როდესაც ლუკა გავიცანი, ჩემს წინ ზრდასრული ადამიანი იდგა, ჩამოყალიბებული ინტერესებით. დიდი სიყვარულით საუბრობდა საქმეზე, რომელსაც პროფესიულად უდგება, შესაბამისი ცოდნაც შეიძინა და საკუთარი საქმით საკუთარი შემოსავალი აქვს.



ლუკას უკვე კარგად იცნობენ ვერცხლის სამკაულის მოყვარულები, უკვეთავენ სასაჩუქრედაც. როგორ დაიწყო, განავითარა და სამომავლოდ რას ირჩევს, თავად ლუკასგან გავიგებთ:

- მიუხედავად იმისა, რომ მამა წლებია ტიხრულ მინანქარზე მუშაობს, ჩემი დაინტერესება ნათესავთან სტუმრობის შემდეგ მოხდა, რომელიც ოქრომჭედელია. ეს ყველაფერი ორი წლის წინ დაიწყო, იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია ამან ჩემში, რომ ყოველ კვირა დავიწვევ თბილისში სიარული, რომ შემესწავლა ვერცხლზე მუშაობის ტექნოლოგია. არ გამხნელებია სწავლა, რადგან შესაბამისი ნიჭი და უნარები აღმომამჩნდა, ნებისყოფაც მეყო, ძალიან ხშირად საათების განმავლობაში მიხდებოდა მუშაობა.

- როგორ დაიწყო და რა იყო პირველი ნაკეთობა?

- პირველი, რითიც დავიწვეე, ჩამოსახმელ ყალიბებზე მუშაობა იყო, საამქროში ვასხმევინებდი ყალიბს, რომელი ფორმაც მომწონდა და დავიწვეე უკვე ნაკეთობებზე მუშაობა. მამას ჰქონდა მცირედი იარაღები, რითიც მცირე სახეობის ნაკეთობების გაკეთებას შეეძლებოდა, თუმცა ეს ძალიან ცოტა იყო, გარდა ამისა, მაშინ არც სახელოსნო მქონდა, მამას სახელოსნოში მუშაობაც არ შეიძლებოდა, რადგან ტიხრულ მინანქარს დამუშავების სხვა სპეციფიკა აქვს და იქ ვერცხლზე მუშაობას ვერ შეეძლებოდა. თავდაპირველად, 100 ლარის ღირებულების ვერცხლი შევიძინე, მცირე ხელსაწყოებით დავიწვეე მარტივი ნაკეთობების გაკეთება, დაახლოებით 20 სახეობის გამოვიდა 50 გრამი ვერცხლისგან. სკოლაში გავაკეთეთ პროექტი, ჩემი პროექტი ეხებოდა საქართველოში უმუშევრობის

პრობლემის მოგვარებას. ჩემს მაგალითზე ვაჩვენე, თუ როგორ შეიძლება დაიწყო მცირე საქმის წარმოება, ვაჩვენე საწარმოო პროცესი და სხვა დეტალები. „სლაიდშოუს“ გარდა, წარვადგინე ჩემი ნამუშევრები, რომლის რეალიზება ადგილზევე მოხდა, შეკვეთებიც მივიღე.

- როგორც ვიცი, შენი საკუთარი სახელოსნო გაქვს, სადაც მუშაობ...

- ბიზნესის დაწყებიდან ექვსი თვის შემდეგ, ავაშენე სახელოსნო, სადაც ერთ თვეში დავიწვეე მუშაობა. შემოსული თანხით, სამუშაო ხელსაწყოებს და მასალას ვიძენდი. ამ ეტაპზე, ჯერ კიდევ არ მაქვს სახელოსნო ინვენტარით ბოლომდე აღჭურვილი. ძირითადად სამკაულების კეთებით ვარ დაკავებული. ტიხრულ მინანქარზე მუშაობა ჯერ არ მიცვლია, ტექნიკა და ყველა პროცესი ვიცი, თუმცა, ჯერ არაფერი გამოიკეთებია. ოქროს ნაკეთობებსაც არ ვაკეთებ ჯერ, რადგან ოქრო ბევრად ძვირადღირებული მეტალია და მინდა დანაკარგების გარეშე შევძლო მუშაობა.

- ვინ არიან შენი დამკვეთები?

- შეკვეთები ძირითადად ნათესავების, მეგობრებისგან მქონდა. რადგან დაინტერესება საკმაოდ დიდი იყო, გადავწყვიტე ადგილობრივ ბაზარზეც გავსულიყავი, რადგან შემძლო ბევრად დაბალ ფასებში შემეთავაზებინა ჩემი პროდუქტი მემხმარებლებისთვის. დაახლოებით 100 ნაკეთობა გავიტანე მაღაზიაში. ვესაუბრე ხაშურის ოქროს ბირჟაზე და იქაც დაინტერესდნენ.

- ახლა ცხოვრების ყველაზე აქტიურ ფაზაში ხარ, როგორ ათავსებ სწავლას და საყვარელი საქმის კეთებას ერთდროულად?

- ძირითადად შაბათ-კვირას და დღის მეორე ნახევარში ვმუშაობ, რაც არ მიქმნის პრობლემას. ჯერ დიდი ნაკეთობა არ გამოიკეთებია, არც გაყიდვა მენანება, რადგან ჩემ ნაკეთობებში ჩემ ინსპირაციას ვერ ვდებ, რადგან დამკვეთის სურვილებს ვასრულებ. როდესაც სტუდენტი გავხდები, მე უკვე მექნება საქმე, რომელსაც გვაკეთებ და დამატებითი სამსახურის მოძებნა არ დამჭირდება, რაც დროსაც დამიზოგავს და ის საქმეც იქნება, რომლის კეთებაც მსიამოვნებს

- სამომავლოდ, სად ხედავს ლუკა თავის თავს?

- მინდა, ჩემი მომავალი ტექნიკური მიმართულებით განვავითარო. როდესაც ლუკას ვუხმენდი, მიხვდი, რომ ასეთი მომავლის არსებობა უკვე დიდი იმედია ჩვენი ქვეყნისთვის. ქვეყნისთვის, რომლის სიძლიერეს, ასეთი ახალგაზრდების არსებობა განაპირობებს.



თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.